ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ.11—28.

№ 5 1883—1904 15 მარტი

მწარე ფიქრები.

ეშმარიტად მართალი სთქვა თავადმა მეშჩერსკიმ, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები გაგიჟდენ და რადასაც სწერენ, აღარ იციანო. მართლაც, რომ დაკვირდე კარგად მათ ნაწერებს და მათ მსჯელობას ომის შესახებ, გაგიკვირდებათ. ეს ომი ისე ადვილად მიაჩნიათ, როგორც ომები ახალტეკეს და კასპიის ზღვის იქითა მხარეს. ომიანობა ადვილად მიაჩნიათ ამისთანა შორეულ ადგილას! მართალია რკინის გზა არის, მაგრამ ამ სიშორეზე ჯარების მათის სურსათით და ყოველივე საჭირო ნივთებით გადაზიდვა სამძიმოა. ცხადი და აშკარაა, რომ იაპონიას ერთი და ორი სახელმწიფოც რომ კიდეც მიემატოს, ვერ გამოიყვანს იმდენ ჯარს, რამდენსაც რუსეთი გაიყვანს ომის ველზე. ცხადია, რომ რუსის სალდათს მამაცობაში ვერცერთი სახელმწიფოის სალდათი ვერ შეედრება, მაგრამ ჩვენ სულ სხვა გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. უკანასკნელ ომიანობის დროს სათათრეთთან ომის ველზე სამი გენერალი მოკვდა, მაგრამ შვიდი გენერალი სახადი ავადმყოფობით, ხურვებით გარდაიცვალენ. არასოდეს არ იხოცებიან იმდენი სალდათები ომის ველზე, ჩხუბში, რამდენიც სახადი ავად-მყოფობით, ისე უომრად. ყირიმის ომის დროს სევასტოპოლის ომის დრომდე გამოანგარიშებული იყო ოცდა-ათი ათასი კაცი მომკვდარი ომში, მაგრამ ამავე დროის გამოანგარიშებით ექვსასი ათასი კაცი იყო მომკვდარი სხვა-და-სხვა გადამდები სნეულობით და დაჭრილთა მოუვლელობით. 1812 წელში რუსეთში შემოვიდა ნაპალეონი თითქმის ნახევარი მილიონი ჯარით. ომში მას სულ

ცოტა დაეხოცა, რადგან ჩხუბი მაინც-და-მაინც ბევრი არ შეხვედრია, მაგრამ ასი ათასობით ეხოცებოდა სალდათები ხურვებით და მუცელათი. მოსკოვში როცა შევიდა ნაპალეონი მეხუთედი ნაწილი სალდათებისა აკლდა. საზოგადოდ გამოანგარიშებულია, რომ ჩხუბში ომის ველზე ერთს მოკლულზე ექვსი კაცია მკვდარი სხვა-და-სხვა უბრალო ავადმყოფობით. მართალია ეხლანდელი დროჯარის კაცთა მოვლისა და ექიმობისა სულ სხვაა და წინეთ სხვა იყო, მაგრამ დიდი ყურადღების მიქცევაა საჭირო ჯარის კაცთა ჯანმრთელობაზე და საზოგადოდ მათ სანიტარულ მდგომარეობაზე.

უკანასკნელ სათათრეთთან ომის დროს პლევნაზე თავდასხმის დროს დაიხოცენ სალდათები შესამჩნევად, თორემ სხვა ადგილებზე ომის დროს იმდენი არ დახოცილან არც ერთ ადგილას რამდენიც უომროდ ბალკანის მთაზე ზამთარში დაიხოცენ. ჩვენის ფიქრით ბალკანეთის ადგილები უფრო ბევრად საადვილო მისახწევი იყო ვინემ კორეია ტ იაპონიის ადგილები.

*
* *

ნეიტრალიტეტი გამოუცხადა თითქმის ყველა სახელმწიფოებმა, მაგრამ განა გულწრფელია მათი განცხადება? დავიჯეროთ, რომ ჩინეთი გულწრფელად მოიქცევა ბოლომდის? განა ჩინეთი გულით და ხულით არ მოიმდომებს მანჯურიის დაბრუნებას? ეგეშმარიტად ყოველ შეგნებულ კაცს მწარე ფიქრებს მოგვრის როცა ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთთა ახირებულ მსჯელობას მოისმენს...

*
* *

ვაი იმ შეგნებული კაცის ბრალი, რომელიც ცხოვრებს უნებლიეთ შეუგნებელ საზოგადოებაში. რამდენ ჭორებს, რამდენ ამოდ მორწმუნეობას და რამდენ დაუჯერებელ ამბებს გაიგონებს! ამ ორი კვირის წინად ჰაერში, როგორც ჩვენში ამბობენ ხოლმე, მოწყვეტილი ვარსკვლავის მეტეორის სინათლე შენიშნეს. ყოველი სოფლელი ამბობს, რომ ჩვენ სოფელში ჩამოვარდა ვარსკვლავიო. რამდენ ნაირად ხსნიან ამ უბრალო ციურ მოვლენას, ვინ მოსთვლის. ზოგიერთები იმდენად სულელები არიან, რომ ამტკიცებენ: იაპონიიდან ნასროლი პატარა ყუმბარა იყოვო!.. მოდი ნუ გაგეცინებათ თქვენ, რომ ასე სამწუხარო არ იყოს!...

*
* *

მღვდლებში გავრცელდა ხმა, ვითომ ჯამაგირები აღარ მიეცემათ, რადგან ომიანობა არისო. ეს აზრი გამოყავთ იქიდამ, რომ ჯერეთ იმერეთის სამღვდელოებას კრედიტი არა აქვს გახსნილი. არ იციან საწყლებმა, რომ ფულები პირველი იანვრიდან მოსულია ხაზინაში, მაგრამ კრედიტი არ გაუხსნიათ კიდევ ჯერეთ რადგან საეპარქიო კანცელარიას სამღვდელოების სია ვერ შეუდგენია ტ არ უცნობებიათ ხაზინისათვის თუ ვისრამდენი ფული უნდა მისცენ ხაზინიდან. ამ სიების თავის დროზე შეუდგენელობამ კანცელარიებისაგან მრავალი ჭორები დაბადა საზოგადოებაში. მაგრამ ამაში კანცელარიას გარდა თვითონ ბლაღოჩინებსაც ბრალი ედებათ, რადგან ეს უკანასკნელნი თავის დროზე წესიერად შედგენილ სიებს არ ადგენენ თუ ვის რამდენი შეხვდება ჯამაგირი სასწავლებელთა სხვა-და-სხვა გადასახადთა გამორიცხვით. დღეს, მადლობა ღმერთს გაიხსნა კრედიტი და განქარდა ჭორებიც.

*
* *

ჩვენ კუთხეულ ქუთაისში ამასწინეთ შუადღისას შეიარაღებული კაცები შებრძანდენ ბანკში, მოითხოვეს ფულები, ძიიღეს და წაბრძანდენ თავისთვის. ბანკში მოსამსახურენი ცალკე ოთახში შებრძანეს და დაამწყვდიეს. როგორც გამოუცდელნი ეს ყაჩაღები ადვილად მიაგნეს და ნაძარცვიც დაბრუნებინეს უკან. მეორე ადგილას რვა საათზე, ალბად სხვა ყაჩაღები, შევარდენ გოკიელოვის მაღაზიაში და კასის გაძარცვა მოისურვეს, მაგრამ ერთი მოსამსახურე სახლის თავზედ ავიდა და დაიწყო ყვირილი: გვიშველეთ, ყაჩაღები დაგვეცა თავსო. გარეთ მდგომმა ყაჩაღებმა თოფი ისროლეს მის ნიშნად, რომ შიგნით მყოფი ყაჩაღები გამოსულიყვნენ გარეთ; მათ ცოტა რამ იგდეს ხელთ და წავიდნენ თავისუფლად. ნეტავი ამ დროს სად იყენენ ქუჩის დარაჯები? ამბობენ ამ დროს ყველამ მაღაზიები დაკეტაო! მიშველებაც სწორეთ ამას ქვიან!.. აი მეოცე საუკუნის დასაწყისის დრო, რომელსაც ასე აღტაცებით მივეგებეთ! იმედი გვქონდა ჩვენ ქვეყანაში დამყარდებოდა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება. მაგრამ ღმერთმა მტერს ააშოროს ის მშვიდობა, რომელიც ზოგიერთებს მიადგათ... სასწავლებლებში და საზოგადოებაში ისეთი დაუჯერებელი საქციელი ისმის, რომელიც არც არავის უნახავს და არც არავის გაუგონია. ნეტავი რას უნდა მივაწეროთ ეს? განათლებას თუ დაბნელებას? წინ სვლას თუ უკუღმა სიარულს? ესეთი გახლავსთ ურწმუნოების და უზნეობის ნაყოფი!... ესეთია ცარიელის სულით აღეჭურვილი მეცნიერება...

სოფლის ხუტესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზეზები კაცის მრავალ უბედურებათა.

(ნათარ. ფრიდრიჰ კირხნერის წიგნიდან „გზა ბედნიერებისაკენ“).

უმაღლესი ბედნიერება.

(გაგრძელება*)

ფილოსოფოსებს სოკრატს, სპინოზას და გეგელს უმაღლეს სიკეთედ, ბედნიერებათ შეცდომით სისტემატიური ცოდნა ჰგონიათ. რა თქმა უნდა, ცოდნა წარმოადგენს ძალას. სერიოზულად, ნამდვილად განათლებული ადამიანი უფრო ადვილად გაიკაფავს ცხოვრების გზას, ვიდრე გაუნათლებელი და უსწავლელი; ამასთან, თქმა არ უნდა, რომ ცოდნა უფრო საიმედოა ვიდრე სიმდიდრე, ჯანის სისაღესიმრთელე და მაღალი ადგილი. განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მეცნიერებამ ძრიელ დიდი გავლენა მოიპოვა ბუნების ძალებზე, რადგანაც აღმოაჩინა წინა დროის ადამიანთათვის უცნაური კანონები. ნაწინასწარმეტყველევი, რომ ადამიანი უნდა შეიქმნეს ბატონად დედა-მიწისაო, ლამის უკვე შესრულდეს. სხვა-და-სხვა განკარგისებული იარაღების საშუალებით ადამიანმა მიაღწია და შეიძლო გამორკვევა ბუნების მრავალ მოვლენათა საიდუმლოებისა, ისეთი რამეები აღმოაჩინა და გამოიგონა, რასაც ასის წლის წინედ მცხოვრებნი ან ჯადოსნობის საქმედ ჩასთვლიდენ და ან აღვირაუსხმელი გიჟი ოცნების ნაყოფად. მან (ადამიანმა) მიაგნო და გაიცნო წინედ გაუგებარ-გამოურკვეველ მოვლენათა საიდუმლო მიზეზები, გარეშე ბუნება დაუმორჩილა თავის ძლიერებას, შეისწავლა და საქმითაც გამოიყენა მისი კანონები. მაგრამ ამით კაცობრიობას დაეტყო გაბედნიერება? ადამიანმა განა ძრიელ გაზვიადებული აზრი არ შეადგინა ცოდნის შესახებ? განა ის ძრიელ დიდ მნიშვნელობას არ აძლევს მას? მართალია რომ გონებრივ განვითარების შესახებ უფრო ბევრსა ზრუნავენ და ფიქრობენ, ვიდრე შესახებ ხასიათის შემუშავებისა, განმტკიცებისა და გაფაქიზებისა? მართალია, რომ ცხოვრებაში გონებრივ მხარეს უფრო დიდს ყურად-ღებას აქცევენ, ვიდრე ხასიათსა და ზნეობრივ თვისებებსა? ორთქლის მანქანამ, ამ მართლა და საოცარმა გამარჯვებამ ადამიანის ჭკუისამ, არ გაამრავლა რიცხვი და არ გაძლიერა მოქმედება საზოგადოებრივ უბედურებათა? განა კაცობრიობამ ბევრი სიმდიდრე მოიხვეჭა იმის წყალობით, რო დღეს ყოველიფერი მზადდება წინანდელზე იაფად, სწრაფად და უფრო ადვილად? კეთილ-დღეობის წარმატებამ არ დაბადა და არ გაამრავლა იმავე დროს უკმაყოფილება და გატაცებული სურვილი ქვეყნიური სიამოვნებისა? განა ავად-მყოფთა რიცხვი შემცირდა მას შემდეგ, რაც მათ მიზეზად აღიარებულ იყვნენ ბაცილლები (პატარა-პატარა, თვალისთვის უხილავი ჭიები?) განა იმ სწავლა-ცოდნამ, რომელსაც დღეს იძენს უმრავლესობა და რომელიც აღემატება ორასის წლის წინედ მცხოვრებ ფილოსოფოსების ცოდნას,—განა იმ ცოდნამ ადამიანები გაბედნიერა? განა განათლების ფართო გავრცელებას თან არ მოჰყვა შემცირება ცხოვრებაზე მხიარული შეხედულებისა (жизнерадостности) და დაქვეითება ზნეობრივად? ამ სახით, ჩვენ ვხედავთ, რომ ცოდნა, თვისის არსით, არ შეიძლება სიკეთედ, ადამიანის გამბედნიერებლად ჩავთვალოთ. „თქვენ ყოველთვის არ იძლევით სიცხოველეს ოქროს სხივებ ცოდნისაო! ნეტავ იმათ, ვისაც ცოდნის გულისთვის არ დაუკარგავს ნიჟი მგრძნობელობისა“.

რას წარმოადგენენ მგრძნობელობითი (чувственныя) შვება-ლხენა და ქვეყნიური სიამოვნება? არისტიპი სიამოვნებას სხეულისას სთვლიდა უმაღლეს სიკეთედ; ეს შეხედულება მშვენივრათ და მკაფიოთ გამოუთქვამს წინასწარმეტყველს ესაიას შემდეგ სიტყვებში: «მოგვეცით დღეს ვჭამოთ-დავლიოთ, რადგანაც ხვალ დავიხოცებითო». ასევე ჰფიქრობდა ეპიკური, რომელიც ყველაზე მაღლა აყენებდა ვნება-ტანჯვათა არ-ქონას (отсутствіе страдаій). რა მრავალი მომხრე ჰყავს ამ ფილოსოფოსს ამ დროშიაც-კი! მაგრამ რა შემცდარი შეხედულებაა! განა შეიძლება უმაღლეს სიკეთედ ჩითვალოს ლხენა-სიამოვნება, რომელსაც ასე სწრაფად ბოლო ეღება, აჩლუნგებს მგრძნობელობას, ბოლოს გვძაგდება კიდეც და ხშირად ცუდი შედეგიც აქვს! ამასთანავე ხორციელ სიამოვნებას (наслажденіе) მიმზიდველი ძალა აქვს მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე ჩვენ იგი ჯერ არ გამოგვიცდია. რუსსო სამართლიანად ამბობს: «გამოხატულება (воображеніе) მრავალ-ფერად აღარ ამკობს მას, რაც ჩვენ უკვე ხელთ გვაქვს, რაც უკვე შეგვიძენია; დაბრმავებას ბოლო ეღება, როდესაც იწყება რისამე ხელში ჩაგდება». მერე, წრე შესა-

*) იხ. „მწყემსი“ № 22, 1903 წ.

ძლის ლხენა-სიამოვნებათა ძრიელ შემოზღუდულია და ყოველივე ის, რაც ამ წრეს გარეთ იმყოფება, უეჭველად როგორმე ტანჯვა-ვაებას მოგვაყენებს. ჟან-პოლი აფასებს სიამოვნებას იმის მიხედვით, თუ როგორი კვალი დაუტოვებია მას ჩვენს მეხსიერებაში; თუ ჩვენ ვერ შეგვიძლიან იგი გავიხსენოთ სიხარულით და დამშვიდებული სინდისით, მაშინ სიანოვნება საძაგელია და არ სასურველი. ადამიანმა უეჭველად უნდა ამოირჩიოს ორში ერთი: ან ფიზიკური სიამოვნება და ან სულიერი,—ერთ-ერთზე უარის თქმა აუცილებლად საჭიროა. თუ ჩვენ, ფერგიუზონისა არ იყოს, უმაღლეს სიკეთედ ჩავთვლით თავიანთ-შენახვას, თავის დაცვას (самосохраненіе), მაშინ ერთმანეთში გადავრევთ მიზეზსა დ შედეგსა, ხესა და ხის ძირკვსა. ყოველი ჩვენი მოქმედება გამომდინარეობს უმთავრესად თავის-დაცვის გრძნობისაგან, მაგრამ იგი არასგზით არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოო მიზნად.

ნ. ხ.—კ.

(გაგრძელება იქნება).

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება ქ. ქუთაისში 15-22 დეკემბერს 1903 წ.

გაგრძელება *)

18 დეკემბერს კრების თავმჯდომარემ სხდომის გახსნის შემდეგ წაუკითხა დეპუტატებს იმერეთის ეპარქიის გაბრიელის ქალების სასწავლებლის რჩევის მოხსენება, რომლითაც რჩევა ითხოვდა მეშვიდე დამატებით კლასის გახსნას. „მეშვიდე კლასის უმექონელობა, სწერდა თავის მოხსენებაში სასწავლებლის საბჭო, ჩვენი ეპარქიის სასწავლებლის კურს დამთავრებულთ ბევრ რამეს უკარგავს. მე-7 კლასი თუ გაიხსნა, მაშინ ეპარქიის სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ გზა გახსნილი ექნებათ ყოველ წოდების სამასწავლებლო ასპარეზზე. იმათ ადვილათ მიიღებენ მასწავლებლებათ ქალების გიმნაზიაში, სადაც დიდ ჯამაგირს მისცემენ. ერთი სიტყვით მეშვიდე კლასის კურსის გათავების შემდეგ ეპარქიალური სასწავლებლის კურს დამთავრებულნი ყოვლის მხრით უზრუნველნი იქნებიანო და სხვ...

*) იხ. „მწყემსი“ № 4, 1904 წ.

სიტყვების ნება ითხოვეს დეპუტატებმა. მოგვყავს ზოგიერთების სიტყვები.

დეპ. მღვ. ს. გველესიანი. როგორც სჩანს, ეპარქიის ქალების სასწავლებლის საბჭოს მოსაზრებით პირველი მიზანი ჩვენი მოსწავლე ქალების აღზრდისა ყოფილა მასწავლებლობის თანამდებობის მიღება. რჩევას ავიწყდება, რომ სასულიერო მთავრობას და სამღვდელოებას უმთავრესად ის აქვს სახეში, რომ ამ სასწავლებელში მომზადებულნი და ნასწავლნი შეიქმნენ მღვდლის ცოლებათ და დაეხმარონ სოფლის მოძღვართ მათ მძიმე მოვალეობის აღსრულებაში და შეძლებისა-და-გვარად შეიტანონ ოჯახში ცოტაოდენი მაინც განათლება. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამ სასწავლებლის ზოგიერთი კურს დამთავრებულნი თურმე სამღვდელო კაცების ცოლად გაყოლას აღარც კი კადრულობენ. ჩვენი სასწავლებლისათვის დღეს მე სრულებით არ მიმაჩნია საჭიროდ მეშვიდე დამატებითი კლასის გახსნა და სხვა...

დეპ. მღ. ა. გერსამია. მე არ ვეთანხმები მამა ს. გველესიანს. ძლიერ საჭიროა და სასარგებლო მეშვიდე დამატებითი კლასის გახსნა და ნუ მოვერიდებით ცოტაოდენ ხარჯს და დავადგინოთ, რომ გაიხსნას დამატებითი მეშვიდე კლასი.

აღმოჩნდა რომ უმეტესი ნაწილი დეპუტატებისა წინაამდეგი იყვნენ დამატებითი მეშვიდე კლასის გახსნაზედ, მაგრამ ზოგიერთები, რომელთაც შვილები ყავთ ამ სასწავლებელში ისინი გაიძახოდენ რომ კარგი იქნება, რომ გაიხსნას მეშვიდე დამატებითი კლასიო.

დეპ. დეკ. დ. დამბაშიძე. მე ძლიერ მაკვირვებს იმერეთის ეპარქიის ქალების სასწავლებლის საბჭოს წინადადება მეშვიდე დამატებითი კლასის გახსნის შესახებ. წარსულ წელში ეს საბჭო განაცხადებდა, რომ ერთი თავისუფალი ოთახი არ მოიძიება მთელს სასწავლებელში ისე ვიწროთ ვართო. დღეს განაცხადებენ, რომ საშუალება მოგვეცით დამატებით მეშვიდე კლასი გავხსნათო. თუ წარსულ წელში თავისუფალი ოთახი არ მოინახებოდა დღეს სადღა არის ეს თავისუფალი ოთახი. დავთანხმდეთ, აღმოჩნდა ოთახი. საბჭო გვაიმედებს, რომ თუ მეშვიდე დამატებითი კლასი გაათავეს ჩვენმა ქალიშვილებმა გავკეთდებითო, საერო წოდების ქალების გიმნაზიებში მასწავლებლებად ჩვენ ქალიშვილებს დანიშვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კარგ ჯამაგირებს დაუნიშნავენო. ამისთანა დაპირებით და იმედებით ჩვენში ბავშვებს მოატყუებენ ხდომე, მაგრამ დიდებს—არასოდეს და კრებას ხომ სულ არა. ნუ თუ საბჭოს ჯერეთ კიდევ არ შეუტყვია, რომ ჩვენებს მასწავლებლობის ადგილს რუსეთის მხარისკენ თუ აძლევენ თორემ აქ, ჩვენში ძლიერ იშვიათად დანიშნავე... ამაზე მე სიტყვას არ გავაგრძელებ, რადგან ყველანი კარგად მიხვდებიან, რომ ეს იმედები საბჭოის ყურადღების ღირსნი არ არიან... საბჭო როგორც გავს სასწავლებლის საქმეებს კარგად არ უკვირდება. აგერ წინაზე სამკლასიანი ქალების სასწავლებელი ექვს-კლასიანად გადაგვაკეთებინა და გვაიმედებდა, რომ სულ ცოტა ხარჯი დასჭირდებაო. მაგრამ ბოლოს სულ სხვა მოითხოვეს.

წარსული კრების დროს სასწავლებლის საბჭომ კანონიერი მოთხოვნილება სამღვდელოების კრების სრულებით უყურადღებოდ დასტოვა. აი რაშია საქმე. სამღვდელოების კრებამ მოითხოვა, რომ სასწავლებლის საბჭოს კრებისათვის წარმოედგინა წარსული წლის ხარჯის ანგარიში და მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა. წარმოიდგინეთ, საბჭომ ამ კანონიერ თხოვნაზე სამღვდელოების კრებას უარი გამოუცხადა და ამასთან წერილობითი აცნობა კრებას, რომ სამღვდელოების კრების საქმე ფულების წარმოდგენა არისო, თორემ მას უფლება არა აქვს ხარჯის ანგარიში მოგვთხოვოსო. უმაღლესად დამტკიცებულ წესდებათა ძალით სასწავლებლის საბჭოები ყველგან ანგარიშს, აძლევენ როგორც ვკითხულობთ სასულიერო ჟურნალებში, მაგრამ ქუთაისში ჩვენი ქალების სასწავლებლის საბჭო კი განთავისუფლებული ყოფილა ამ მოვალეობისაგან!!.

მეშვიდე დამატებითი კლასის გახსნა ჩვენს ეხლანდელ მდგომარეობაში მეტ ბარგად მიგვაჩნია. საჭიროა სამღვდელოებამ სთხოვოს საბჭოს, რომ ამ სასწავლებელში მოსწავლე ქალთა აღზრდა მიდიოდეს ისე როგორც სასურველი იყო მისთვის ვისი სახელდობაც არსებობს იგი. ექვსი კლასის კურსი სრულებით საკმარისია ჩვენ ქალთათვის ოღონდ რიგიანად იყვენ აღზრდილნი. კარგად უნდა ახსოვდეს საბჭოს, რომ ამ სასწავლებლის დანიშნულება არის—მოამზადოს შესაფერისად აღზრდილნი სამღვდელო კაცების საცოლეები და არა ქალების გიმნაზიის მასწავლებელნი...

დამსწრე.

წერილი რედაქციის მიმართ.

დიდათ პატივცემულო მამაო რედაქტორო!

გთხოვთ, „მწყემსში“ ამ მცირე შენიშვნას ადგილი დაუთმოთ.

როგორც „მწყემსის“ მკითხველებს მოეხსენებათ, ამ ორგანონში წარსული წლის მე-23 ნომრიდან დაიწყო ჩემ მიერ ნათარგმნი „ბიბლიური საუბრების“ (ან როგორც მწყემსშია: „საუბარი დაბადებიდან“) ბეჭდვა. „მწყემსის“ № 23-ში ამ საუბრებს თავში უჯდა შენიშვნა, რომ იგინი რუსულიდან არიან ნათარგმნი; შემდეგს ნომრებში-კი ეს შენიშვნა აღარა ზის. ამ გარემოებას, როგორც პირადათ ლაპარაკმა დამარწმუნა, ზოგიერთ პირებში ჩემი კეთილ-სინდისიერობის შესახებ რაღაც ეჭვი გამოუწვევია. ამ გვარი ეჭვების ასაცილებლათ, უმორჩილესათ ვსთხოვ „მწყემსის“ პატივცემულ მკითხველებს ეს „საუბრები“ ჩემ ნაწარმოებად არ იგულონ, არამედ მარტო ჩემ ნათარგმნად, ავტორი ამ საუბრებისა სულ სხვა პირია და არა მე.

ამასთანავე, იმავე ეჭვების ასაცილებლათ, გთხოვთ „მწყემსის“ მკითხველებს ისიც აუწყოთ, რომ ამ წლის № 1—2-ში დაბეჭდილ მე-III საუბარის თარგმნის მეორე ნახევარი (გვ. 13—15: სიტყვებიდან: „და აი წყალთა დაიკავეს ადგილი“ და სხვა ბოლომდინ),—ჩემი არ არის. ძლიერ უხერხულათ მიმაჩნია ჩემად მივიღო და ჩემი სახელი მოვაწერო იმას, რაც მე არ მეკუთვნის.

ს. გორგაძე.

ვამოწმებთ, რომ „საუბრები დაბადებიდან“ რუსულიდან ნათარგმნია ბ. ს. გორგაძის მიერ, სოგორც ეს კიდეც იყო გამოცხადებული. ავტორი ამ საუბრებისა არის შესანიშნავი დიდათ განათლებული სასულიერო პირი რუსთაგანი. ვამოწმებთ იმასაც, რომ ზემო აღნიშნული ადგილი ბ. ს. გორგაძის ნათარგმნი არ არის.

რედაქტორი.

ვიცე ადმირალი პავლე სტეფანეს-ძე ნახიმოვი

სწორეთ ნახევარი საუკუნე გავიდა მას აქეთ რაც ვიცეადმირალმა პავლე სტეფანესძ-ემ ნახიმოვმა შემუსრა და თითქმის გაქრო ძლიერი ფლოტი სულთანისა სინოპში 18 ნოემბერს 1853 წელს დილით ვიცე ადმირალის ნახიმოვის განკარგულებით დაუდგენ წინ რუსის საომარი გემები სინოპის სიმაგრეებს და ძლიერ ფლოტს და ერთბაშად დაუშინეს ყუმბარები. შეიქმა ერთი ალიაქოთი. სინოპის ფლოტმაც, რასაკვირველია, გასცა პასუხი რუსის გემებს, მაგრამ ვერა გააწყო რა რუსეთის სევასტოპოლის ძლიერი გემების წინააღმდეგ. დილიდან საღამომდისინ სრულებით გაანადგურეს სინოპის სიმაგრე და თითქმის ყველა გემები დაიწვა ცეცხლსაგან. ოცს ნოემბერს გამოიცა მანიფესტი ომის გამოცხადებაზე, რომლის შინაარსი თითქმის ყველამ იცის. ნახიმოვი დააჯილდოვეს წმიდა გ-ს მეორე ხარისხის ორდენით.

დეკ. დ. დამ—ძე.

არიან თუ არა ქრისტიანები იაპონიაში?

ორმოცი წელიწადია სწორეთ მას აქეთ რაც იაპონიაში დაარსდა ქრისტიანობის გამავრცელებელი მისსია. მთელს იაპონიაში ოთხ მილიონამდე ირიცხებიან ქრისტიანები. დღეს მართლმადიდებელ ქრისტიანეთა რიცხვი ას ოცდა ცხრა ათასი სულია. თვითონ ტოკიოში მშვენიერი ტაძარი არის, რომელიც ამ ათი წლის წინად არის აშენებული, ტაძარი ქრისტეს აღდგომისა. აქ არის მღვდელთ-მთავარი ნიკოლოზი, რომელიც 1883 წელში ხელდასხმულ არის მღვდელთ-მთავრად. ორ სამ სამღვდელო პირთა გარდა მღვდლებად და მასწავლებლებად სულ თვითონ იაპონელები არიან. სასწავლებლებში სწავლობენ სულ ათას ხუთასამდისინ მოსწავლეები. წარსულ წელში მისიონერების ჯამაგირად გადადებული იყო 26 ათას მანეთამდე. ომის გამოცხადებამდისინ ქრისტიანეთა სასულიერო პირთა კრება ჰქონდათ იმის შესახებ თუ როგორ მოქცეულიყვნენ ომის გამოცხადების შემდეგ. თვითონ ყ-დ სამღვდელო ნიკოლოზმა გამოაცხადა რომ ყველა იაპონელმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ჩხუბში, რადგან დაცვა თავისი სამშობლოსი ყოველ მორწმუნე ქვეშევრდომთათვის სავალდებულოაო. ფრანგების, პროტესტანტების და სხვა აღმსარებელთა ქრისტიანებისა უმეტესი რიცხვია. დიდი შიში ქონდათ ქრისტიანებს ომიანობისა, მაგრამ იგინი დაამშვიდა იაპონიის ხელმწიფემ და აღუთქვა, რომ იმათ არავინ შეურაცხყოფს და ხელს არ ახებენ.

დეკ. დ. დ—ძე.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ერთმა ცნობილმა ინგლისელმა დიპლომატმა ჟურნალ «ნაციონალ რევიუ»-ს უკანასკნელ წიგნში რუსეთ-იაპონიის ომზე წერილი დაბეჭდა. „იგნოტუს"-ი (დიპლომატის პსევდონიმია) სწერს: იაპონიამ აშკარად დაამტკიცა, რომ რუსეთის ძალას შორეულ-აღმოსავლეთში მეტად აზვიადებენ. იაპონიამ ეხლავე გაუტეხა სახელი დევ რუსეთს. «ამომავალ მზის ქვეყანამ» ჩინეთი განაწილებას გადაარჩინა და ევროპა საშინელ ომსა, რადგან ჩინეთის განაწილებას უსათუოდ დიდი საერთაშორისო ომი და სისხლის ღვრა მოჰყვებოდა. რუსეთი სულ იმის ცდაში იყო, რომ ჩინეთი ხელში ჩაეგდო და ევროპის წინააღმდეგ აემხედრებინა. რუსები ეხლა „ყვითელ საფრთხეზე" ჰყვირიან და ინგლისს უჩივიან, ყვითელი მოდგმა ევროპის წინააღმდეგ მოჰყავსო. 1901 წელს რუსეთი თითონ ურჩევდა იაპონიას, კავშირი შევკრათ ინგლისის წინააღმდეგაო. ახლა-კი რუსული პრესა ინგლისს ევროპისა და თეთრის მოდგმის მოღალატედა სთვლის: ყვითელ მოდგმის სახელმწიფოსთან, იაპონიასთან, კავშირი შეჰკრა და თეთრის მოდგმის ერთან, რუსეთთან საომრად წააქეზა. ამის პასუხს ფრანგ გენერალ ფრეის წერილი იძლევა. გენერალი სწერს: „ინგლისი სრულიად სამართლიანად დასცინის იმათ, ვინც უსაყვედურებენ, იაპონიასთან კავშირი რად შეჰკრაო. პირველად რუსეთმა და საფრანგეთმა მოინდომეს ჩინეთთან დაახლოვება და საკავშირო ხელშეკრულობის დადება, მაგრამ ვერ მოახერხესო.

გენერალი ფრეი 1900 წელს ჩინეთის არეულობის დამშვიდებაში იღებდა მონაწილეობას და აღმოსავლეთ აზიის საქმე კარგად აქვს შესწავლილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალს „ყვითელი საფრთხეზე“ ლაპარაკი და ყვირილი სიცილად არ ჰყოფნის. ნამდვილად არავითარი ყვითელი საფრთხე არ არსებობს. აღმოსავლეთის სახელმწიფოები მხოლოდ მაშინ შეიქნებიან საშიში ევროპისათვის, როცა სამხედრო იარაღის გარდა, ევროპის იდეებსაც კარგათ შეითვისებენ. დიდად სცდება, ვინც ჰფიქრობს, ვითომ აღმოსავლეთი რომ შეიარაღდეს, მაშინვე დაამარცხებს ევროპასაო. ევროპის ძალა იარაღი კი არა, გონებრივი და ეკონომიური განვითარებაა. იაპონიამ ჯერ კიდევ 40 წლის წინად შეიგნო ესა და გარეგან კულტურის შეთვისების გარდა, თავის გონებისა და სულის განვითარებასაც დიდი ყურადღება მიაქცია და აკი თავისიც გაიტანა. რა ჯილდო მიიღო იაპონიამ თავის შესანიშნავ მეცადინეობისათვის? აი რა ჯილდო მიიღო. 1900 წელს პეკინში ერთმა ევროპიელმა ჯარის კაცმა სთქვა: ჩინეთში 1900 წელს გალაშქრების დროს მოკავშირეებში მხოლოდ სამი ნამდვილად განათლებული ხალხი ერია: ინგლისი, იაპონია და ამერიკა (შეერთებული შტატები)... დანარჩენი ერები კი ველურები გამოდგნენ!

ინგლისელმა და ამერიკელმა ჯარის-კაცებმა 1900 წელს რიგზე გაიგეს, ვინ უფრო საშიშია, იაპონიის ერი, თუ ზოგიერთი ევროპიელი ერი. ევროპაში უარესი „ჰუნები“ იპოვებიან, ვიდრე აღმოსავლეთ აზიაში“. („პ. ვ.“).

სამხედრო მოქმედება. დეპეშამ გვაცნობა, რომ 26 თებერვალს პორტ-არტურთან ბრძოლის დროს რუსის ნაღმიანმა გემმა „ვლასტნი“-მ იაპონელების ნაღმიან გემს ნაღმი ესროლა და ჩასძირაო. ამის თაობაზე „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ბ-ნი ვ. მ. შენიშნავს: „საზღვაო ბრძოლის ისტორიაში ეს პირველი მაგალითია, რომ ნაღმიანი გემი ნაღმს დაეღუპოს. უათხედის ნაღმი ჩვეულებრივ წყალქვეშ 10-11 ფუტის სიღრმეზე მიდის, იაპონიის ნაღმიანი გემები კი წყალში მხოლოდ 5-8½ ფუტის სიღრმეზე დგანან. იქნება ჩვენმა მეზღვაურებმა ნაღმიანი გემის მაგივრად რომლისამე დიდის გემის მენაღმე ნავი დაღუპეს? ყოველ დიდ მებრძოლ გემს ერთი ან ორი მენაღმე ნავი აქვს 60 ფუტის სიგრძისა. ღამე ამ ნავებს ხან-და-ხან ზღვაში ჩაუშვებენ ხოლმე სადარაჯოდ. იქნება ეს მენაღმე ნავი წყალში 4-5 ფუტით უფრო ღრმად ჩაჯდა და ჩვენმა ნაღმა იმიტომ ააფეთქა? ან იქნება „ვლასტნის“ ნაღმი რაიმე მიზეზით ისე ღრმად არ წავიდა, როგორც ჩვეულებრივ მიდის ხოლმე? ამაზე არა ვიცით-რა სწორედ“.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ იაპონიის მთავრობამაც, როგორც დეპეშამ გვაცნობა, უარ-ჰყო ის ცნობა, ვითომ რუსებს 26 თებერვალს იაპონიის ნაღმიანი გემი დაეღუპოთ.

26 თებერვალს პორტ-არტურთან მომხდარ ბრძოლის თაობაზე იგივე ბ-ნი ვ. მ. სწერს: «სტერეგუშჩის» დაღუპვა ცხადად ამტკიცებს, რომ ნაღმიან გემებს გაშლილ ზღვაში დიდ გემებთან ბრძოლა სულ არ შეუძლიანთ. თუმცა ჩვენი 6 ნაღმიანი გემი ბნელაში ღამის 4 საათიდან დილის 8 საათამდე იბრძოდა, მაინც ვერც ერთმა ვერა დააკლო-რა იაპონიის კრეისერებს, ერთი ნაღმიც კი ვერ ესროლეს მარჯვედ. ნაღმიან გემის საქმე ეხლაც ისაა, რაც წინად იყო: გაჩერებულ გემებს უცებ დაეცეს და დააზიანოს. გაშლილ ზღვაში ბრძოლა კი წინანდებურად დღესაც ჯავშნიან გემებისა და კრეისერების საქმეა“.

ბ-ნ ვ. მ.-ს აზრით, 26 თებერვალს ადმირალი ტოგო ყოველნაირად ეცადა, ადმირალი მაკაროვი ზღვაში გაეტყუვილებინა, მაგრამ ვერას გახდა, რუსის ადმირალი ვერ შეაცდინა. ადმ. მაკაროვი ზღვაში არ გავიდა და იაპონელმა ადმირალმა გაჯავრებულმა რუსის ესკადრას შიდა რეიდს დაუშინა ყუმბარა. რომ თავისი გემები არ დაეზიანებინა, ტოგომ ასეთი მოსწრებული, მარჯვე ხერხი იხმარა: 6 დიდი გემი დასავლეთისაკენ გაბრუნდა, ლაოტეშანის კონცხს („მის“-ს) მოეფარა და იქიდან 12 დიუმიანი ყუმბარა დაუშინა რუსის გემებს. სხვა დიდი გემები გოლუბინაია ბუხტის მხარეს დადგნენ და იქიდან ციხესა და ქალაქს ესროდნენ ყუმბარებს. ამავე დროს იაპონიის კრეისერები პორტ-არტურის შესავალს დარაჯობდნენ, რომ იქიდან უცბად რუსის ესკადრა არ გამოსულიყო. ტოგოს ჯავშნიანი გემები მთებს ამოეფარნენ და პორტ-არტურის რეიდსა და ციხეს ყუმბარები დაუშინეს. იაპონელებს რომ ხშირად ესროლათ ყუმბარა, მაშინ რუსის არტილერისტები მარჯვედ დაუმიზნებდნენ დამალულ გემებს და ადვილად დააზიანებდნენ, მაგრამ იაპონელები განგებ მძიმე-მძიმედ ისროდნენ და რამწამს ზარბაზანს დასცლიდნენ, გემს მაშინვე სხვა ადგილას აყენებდნენ. იაპონელებმა 4¼ საათში, ადმ. მაკაროვის

ანგარიშით, სულ 154 ყუმბარა გამოისროლეს, როდესაც ამ ხნის განმავლობაში თამამად შეეძლოთ 1800 ყუმბარა გამოესროლათ: ეტყობა, იაპონელები ნახევარ საათში მარტო თითო ყუმბარას უშვებდნენ. ჩანს, ტოგო ცალკე ყუმბარებს უფრთხილდებოდა, ცალკე იმის ცდაში იყო, რომ რუსებს ზარბაზანი ვერ დაემიზნებინათ იაპონიის გემებისათვის.

«რუსკია ვედომოსტი»-ს სამხედრო თანამშრომელიც ჰფიქრობს, რომ 26 თებერვალს პორტ-არტურთან ბრძოლაში იაპონიის ახალი კრეისერები «ნისინი“ და «კასუგა“-ც იღებდნენ მონაწილეობასა.

გაზ. „რუს“-ს პორტ-არტურიდან დეპეშით ატყობინებენ: 26 თებერვალს იაპონელებმა მეტად მედგარი იერიში მიიტანეს პორტ-არტურზე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე ესროდნენ ყუმბარებს. იაპონიის გემები სამ რაზმად იდგნენ. ყოველ რაზმს ნაღმიანი გემებიც ჰყავნდა.

ტოკიო («რეიტ. სააგ.»). იმპერატორმა მემკვიდრის თანხლებით გახსნა სესია პარლამენტისა და წარმოსთქვა სიტყვა-სიტყვა, რომელშიაც, სხვათა შორის, განაცხადა: სახელმწიფოებთან დამოკიდებულება თან და თან გულწრფელი ხდება. მთავრობას მოლაპარაკება ჰქონდა რუსეთთან, მაგრამ რუსეთი გულწრფელად არ იქცეოდა, ამიტომ იძულებული გავხდით, საქმე იარაღით გადაგვეწყვიტა. ეხლა არ შეგვიძლიან შეჩერება, სანამ ამ ომის მიზანი განხორციელებული არ იქმნება“.

ვლადივოსტოკი. ხმა დადის, რომ იაპონიას კორეიაში გადმოყვანილი ჰყავს 70,000-მდე ჯარის კაცი. ამათგან 30,000 კაცი სდგას ჩემულპოსა და სეულში, 20,000 პხიანიანსა და ანჩუში, დანარჩენნი სხვა-და-სხვა ადგილას, მცირეოდენი გენზანში. სეულიდან პხიონიანსა და ანჩუში გადააქვთ სურსათსაკვები და ჯარისათვის საჭირო იარაღი. ცნობაა, იაპონიიდან, რომ 70000 კაცი კიდევ არის გასაგზავნად. სად მიიყვანენ, არავინ იცის. პხიონიანში ქვეითა ჯარის გარდა კავალერიაც ჰყავთ და არტილერიაც, უსურიის რკინის გზაზედ მცხოვრები ჩინელები ჰყიდიან თავის ქონებას და მანჯურიაში მიდიან.

იაპონელების პატიოსნება. «ნოვოე ვრემია»-ში ბ-ნი ლუგოვოი სწერს: „იაპონიამ ისე სწრაფად შეითვისა ევროპიის ცივილიზაცია, რომ მთელი ევროპა გააკვირვა. ევროპიელებმა გატაცებით ქება დაუწყეს იაპონელებს. აქებდნენ იაპონელების ნიჭსა, ზრდილობას, წერა-კითხვის ცოდნას, ცნობის მოყვარეობას და ყველაზე მეტად-კი იმათ შესანიშნავ პატიოსნებას. ტოკიოში რუსეთის ელჩად ნამყოფმა განსვენებულმა ბ-ნმა ხიტროვომ იაპონიიდან დაბრუნების შემდეგ მიამბო: „ტოკიოდან ჯენერიქშით *) ხშირად შორს ქალაქ-გარედ სააგარაკო ადგილებისაკენ დავდიოდი სასეირნოდ. მივარდნილ ადგილებში ბევრჯელ დავრჩენილვარ ხოლმე მარტოდ-მარტო ღონიერ რიქშასთან, მაგრამ ერთხელაც ფიქრად არ მომსვლია და ჩემს გულში შიში არ გაუვლია, ვაი თუ ღონიერი რიქშა დამეცეს და გამძარცოს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ყველაზე ძლიერ შემდეგი ჩვეულება მაოცებდა და მაკვირვებდა: სხვა-და-სხვა ადგილას გზაში სტოლები იდგა და ზედ ტილოთი გადახურულ ლამბაქებზე მოხარშული ბრინჯი და სხვა საჭმელები ელაგა. სადილობის დროს რიქშა დადგებოდა ხოლმე სადმე, ამნაირ სტოლთან მივიდოდა, აარჩევდა თავის გემოზე, რაც უნდოდა, ხელად შენაყრდებოდა, მერე ჯიბიდან ფულს ამოიღებდა, რამდენიც ერგებოდა, სტოლზე ლამბაქზე დააწყობდა, ყველაფერს ისევ ტილოს გადააფარებდა, მობრუნდებოდა და ისევ თავის ეტლს მიარბენინებდა.

—მაგ სტოლის პატრონი სადღაა?

—იქმნება აქ ახლო სადმე მინდორში მუშაობდეს, იქმნება შინაც იყოს.

—რატომ თითონ არა დგას სტოლთან და თითონვე არა ჰყიდის?

—რისთვის? იქ რომ დადგეს და დრო დაკარგოს, მაშინ სადილი უმეტეს ძვირად დაგვიჯდება.

—ვინმემ რომ ფული არ გადაიხადოს, ან სხვისი დადებული ფული მოიპაროს?

რიქშა იღიმება, მაგრამ თანა სწყინს: „განა შეიძლება, ამგეთი უსინიდისობა ჩაიდინოს კაცმა, განა ეგეთი უსინიდისო კაცი იქმნება სადმეო“.

„ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: იაპონიის მთავარ-შტაბისა და იმპერატორის უმთავრეს ბინას ხმელეთზე (ალბად, კორეიაში) გადაიტანენ.

„დაილი ნიუს“-ი იუწყება, გენერალი კოდამა მთავარ-შტაბით ტოკიოდან ბრძოლის ველზე წავა

---

*) ჯენერიქშა—იაპონური ხელით სატარებელი ეტლია. ეტლის დამტარებელს რიქშას ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჯარის მთავარ-სარდლობას შეუდგებაო. ამბობენ, იაპონიის ჯარი აპრილის დამდეგს გაილაშქრებს ზღვითკენაო. („მ. ვ.“).

გენერალ სახაროვის და „ფიგარო“-ს თანამშრომლის საუბრის თაობაზე „ტაიმს“-მა ვრცელი მოწინავე წერილი დასწერა. გაზეთი სწერს: იქნება რუსეთმა, თუ საჭირო იქნება, დიდის ვაი-ვაგლახით 400 ათასი ჯარის-კაცი ჩაიყვანოს ბრძოლის ველზე, მაგრამ ეს საკმაო არ იქნება იაპონიის ჯარის შესამუსრველად. საქმე ისაა, რომ იაპონელებს 200 ათასი ჯარის-კაცი კი არა ჰყავთ, როგორც გენერალი სახაროვი ჰფიქრობს, 500 ათასი კაცი ჰყავთ. ეს ნამდვილი უტყუარი ცნობაა. ახლანდელ ომისათვის იაპონია სრული ექვსი წელიწადი ბეჯითად ემზადებოდა, ყველაფრის თადარიგი წინდაწინვე დაიჭირა, ყველაფერი რიგზე ასწონ-დასწონა და დაწვრილებით მოიფიქრა. თუმცა რუსეთს დიდ-ძალი ულეველი ხალხი და ურიცხვი ჯარი ჰყავს, მაგრამ ბრძოლის ველზე მაინც იაპონიას ომის გათავებამდე ყოველთვის მეტი ჯარი ეყოლება, ვიდრე რუსეთს. ციმბირის ერთ-ლიანდაგიან რკინის გზას არას დროს არ შეუძლიან დიდძალი ჯარის გადაყვანა და სურსათის ჩაზიდვა. ზღვის ბატონი და პატრონი კი ყოველთვის იაპონია იქნება («ბ. ვ.»).

„რუსკია ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: «აქაურ სამხედრო წრეებს იმედი აქვთ, ბრძოლის ველზე მოკლე ხანში დიდი ამბები მოხდება, რადგან კორეისა და მანჯურიის ნაპირებზე ყინული მომეტებულ ნაწილად გალღვაო. იაპონელებს აბრალებენ, აკრძალულ ყუმბარებს ხმარობენო. მაგრამ იაპონელები ამტკიცებენ, პორტ-არტურთან ბრძოლის დროს უმეტეს ნაწილად რუსის გემ „მანჯურიაზე“ დაჭერილ ყუმბარებს ვხმარობდითო. ეს ყუმბარები „მანჯურიას“ პორტ-არტურში მიჰქონდა ბატარეებისათვისაო. გუშინდელს აქეთ ბერლინში დაუჯერებელი ხმა დადის, ვითომ რუსის ფლოტს პორტ-არტურიდან გასვლა მოეხერხებინოს. სერიოზულ გაზეთებს, მაგალითად «ტეგლიშე რუნდშაუ»-ს არა სჯერა ეს ამბავი, თუმცა კი არც შეუძლებლად მიაჩნიათ.

„დეილი ტელეგრაფ“-ს დეპეშით ატყობინებენ ნიუჩუანიდან: ვიცე-ადმირალმა მაკაროვმა ბრძანება გამოსცა და განაცხადა, ქვა-ნახშირის გამოზოგვა საჭირო არააო. დიდ დიდ მძიმე ზარბაზნების ყუმბარებს კი უსათუოდ უნდა გაუფრთხილდეთ, ამ ყუმბარებს ტყუილ-უბრალოდ ნურავინ გაჰფლანგავსო.

ინგლისელ ადმირალ ფრიმენტს ჟურნალისტებთან ეხლანდელ ომზე უსაუბრნია და უთქვამს: იაპონიის ფლოტის ორგანიზაცია, ნაღმიან გემების და კრეისერების მოქმედება, საზოგადოდ გემების განაწილება საზღვაო ტაქტიკის უკანასკნელი სიტყვააო. ფრიმენტს ადმირალ მაკაროვზეც თანაგრძნობით ულაპარაკნია. («ნ ვ.“).

იაპონიის სამხედრო ჰაეროსტატები. „რუსკი ინვალიდ“-ი სწერს: იაპონიის ჯარს სამხედრო ჰაეროსტატებიც (ჰაერში მფრინავი ბურთები) აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, სწორე ცნობა არა გვაქვს ამ ჰაეროსტატებზე. იაპონიის ფლოტი ჯერ კიდევ 1894 წელს ჩინეთთან ომის დროს ხმარობდა ჰაეროსტატებს, მერე 1900 წელსაც, ჩინეთის არეულობის დროსაც ჰქონდათ იაპონელებს ჰაეროსტატები. ამბობენ, ამ ჰაეროსტატებმა დიდი სარგებლობა მოუტანეს მოკავშირეთა ჯარსაო. ამას გარდა იაპონელები ყოველთვის დიდს ყურადღებას აქცევენ ჰაეროსტატებს და ყოველთვის იმათ გაუმჯობესობას სცდილობდნენ. „ამომავალ მზის ქვეყნის“ შვილები, თუ არა ვცდებით, ყველაზე წინ მიჰხვდნენ, რომ მრგვალ ჰაეროსტატს გრძელი სჯობია. იაპონელები ეხლა ეგრედ წოდებულ გველის მსგავს ჰაეროსტატებს ხმარობენ, ფრანგ აერონავთ ლუი გოდარის სისტემისას. იაპონელები საზოგადოთ ბეჯით ყურადღებას აქცევენ სამხედრო ტეხნიკის განვითარებას, ამიტომ გვგონია, რომ ეხლა საკმაოდ კარგი ჰაეროსტატები ექნებათ და მტრის ჯარის დაზვერის დროს რიგზე გამოიყენებენ.

„რუსკია ვედომოსტი“-ში ერთის არტილერისტ აფიცრის კერძო წერილია დაბეჭდილი პორტ-არტურთან 27 იანვარს ბრძოლის თაობაზე. აფიცერი სწერს: „ჩვენი ბატარეია ზღვის ნაპირას დგას, 40 ფუტის სიმაღლეზე. ჩვენს ქვემოთ ადმირალის ჯავშნიანი გემი „პერესვეტი“ დგას. ბრახ!—გემის გვერდზე ყუმბარა დაეცა. ზღვიდან წყლის სვეტი ამოვარდა და გემის პალუბა წყლით აავსო. მეზღვაურები აირ-დაირივნენ.—ბრახ!—და ჩვენ გვერდზეც დაეცა ერთი ყუმბარა. ამ სამხედრო სალამს უცებ ჩვენმა 10 სანაპირო ბატერეიამ და 12 გემმაც გასცეს პასუხი. საშინელი აუწერელი ამბავი დაიწყო. 150-ზე მეტი დიდი ზარბაზანი ისროლა. ყველგან ბოლი,

ორთქლი და ბული იდგა, ყველგან საზარელი ყვირილი ისმოდა. ბრძოლის ველი ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცა. უცებ ვიღაცამ საზარლად დაიკივლა,— ერთს ჯარის-კაცს ყუმბარის ნაგლეჯმა თურმე ცხვირი მოჰგლიჯა; სისხლი წურწულით სდიოდა... სანიტარები მოვიდნენ, საკაცე მოიტანეს... ვიგრძენ, ვიღაცამ მხარზე ხელი წამავლო. მივიხედე—გაფითრებული ჯარის-კაცი დგას. ეტყობა, რიღაცის თქმა უნდა, მაგრამ ველარ მოუხერხებია. როგორც იყო, თითი ძირს გაიშვირა. ხელად მივხდი, რის თქმაც უნდოდა, ძირს, გორას ქვემოდ პატარა, კოხტა მსწრაფლ-მსროლელ ზარბაზნების ბატარეია იდგა. გავიქეცი და ვნახე, რომ იქაც ნამდვილი ჯოჯოხეთის ცეცხლი ტრიალებდა. ყუმბარები ისე სდებოდა, თითქო ბედნიერ დღეს შუშხუნებიაო. ყუმბარის ნაგლეჯებს საზარელი ზუზუნი და ზუილი გაჰქონდათ. საშინელი ბოლი და ბული იდგა; მიწას სულ ბღვირი ასდიოდა. ისევ ჩემ ბატარიაზე გავქანდი. იქაც მეტად სამწუხარო სანახავი დამიხვდა. იქაც ერთი ყუმბარა დაცემულიყო ზარბაზნებსა და ჯარის-კაცებს შუა. ერთი ჯარის-კაცი საცოდავად წევს, წელები გარედ გამოსცვივნია, მეორეს თავი გასჩეჩქვია, მესამეს ყუმბარის ნატეხები მოჰხვედრია თავში და ორ ამხანაგს მიჰყავთ სადღაც. ერთი ფოლადის ზარბაზანი ისე დამსხვრეულა, თითქო ნაფოტი ან ჩალა ყოფილიყოს... სამწუხარო, გულ-მოსაკლავი სურათია. ყველგან სისხლსა ვხედავ. მოკლულები წავაღებინე და მე თვითონ-კი ისევ ბატარეიაზე გავქანდი. იქ წინანდებურად ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო... მაგრამ გაუთავებელი არა ყოფილა რა. ეს ჯოჯოხეთიც გათავდა. იაპონელები წავიდნენ. ბოლი გაიფანტა, მზემ ისევ გაანათა ბრძოლის ველი, მაგრამ ნეტავ რას დაჰხაროდა!..

ეჰ! ჩვენი დაზიანებული გემები «რეტვიზანი», „ცესარევიჩი“ და კრეისერი „პალადა“ რომ გენახათ, როცა შიდა რეიდზე მიათრევდნენ, ცოდვით დაიწვოდით! ყველანი ტიროდნენ: მეზღვაურები, ქალები, ჯარის-კაცები, აფიცრები“...

რუსეთის პრესსა რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ

«მოსკ. ვედომ.»-ი სიამოვნებით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ პატრიოტულ შემოწირულებაში ფინლიანდიაც იღებს მონაწილეობასაო. საზოგადოთაო, ამბობს გაზეთი, რუსეთის იმპერიის სხვა-დასხვა ერები რუსებთან ერთად გრძნობენ, რომ იაპონია საერთო მტერია, რომლის მოგერებას მთელის იმპერიის ინტერესი მოითხოვსო. სხვა გაზეთები, რასაკვირველია, ეთანხმებიან „მოსკოვ. ვედომ.“-ის ამ აზრს, მაგრამ თანაც დასძენენ, რომ გრინგმუტის გაზეთი მხოლოდ ეხლა ლაპარაკობს საერთო ინტერესებზე, ხოლო მშვიდობიანობის დროს სრულიად სხვა აზრისა იყო იმპერიის არა რუსთა შესახებ, განსაკუთრებით ფინლიანდიელებისა, რომლების მას არაფერი არა სწამდა. ეხლა, როგორცა ვსთქვით, „მოსკ. ვედომ.“ საჭიროდ სთვლის რუსთა და არა რუსთა ერთობას და ამბობს:

ძალა ერთობაშია. ეს ჭეშმარიტება ამ ჟამად სწამთ არა მარტო რუსთ, არამედ იმპერიის არა რუსთაც. მაგრამ, სამწუხარო ის არის, რომ ერთობის ძალა იმათაც სწამთ, ვინც ფარულად ან აშკარად მტრობს რუსეთს. ეს მტრები ეხლა სიხარულით უწინასწარმეტყველებენ რუსეთს დამხობას „კულტურულ და პროგრესიულ ძალების შეერთებულ იერიშისაგან“.

თუ ეს ასეა, თუ მართლა მოსალოდნელია, რომ იაპონიის ზურგს უკან სხვა სახელმწიფონიც დგანან და ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებენ, მაშინ მით უმეტრო ძვირფასია და დიდ-მნიშვნელოვანი ის ფაქტი, რომ რუსებთან ერთად იმპერიის არა-რუსნიც გამსჭვალულნი არიან ერთის გრძნობით—მონაწილეობა მიიღონ მსხვერპლსა და ბრძოლაში.

განსაკუთრებით სასიხარულოდ და სასიამოვნოდ მიგვაჩნია, რომ ამ დიდ ისტორიულ მომენტში ფინლიანდიელები სიტყვითაც და საქმითაც დახმარებასა და თანაგრძნობას გვიცხადებენ. ჩვენ ვამბობთ, რასაკვირველია, ფინლიანდიის ერის იმ გონიერ ნაწილის შესახებ, რომლის წარმომადგენელი ფინლიანდიის სენატია. ფინლიანდიაში,—როგორ სხვა ბევრად თუ ცოტად მოზრდილ ოჯახში,—მახინჯებიც არიან. ასეთ ზნეობრივ მახინჯებად ჩვენ მიგვაჩნია ის პარტია, რომელსაც სახელად უწოდებენ „პასსიიურ წინააღმდეგობის“ პარტიად. ეს პარტია სულ რუსების მტრებისაგან შესდგება, რომელთაც რუსეთი ჭირივით ეჯავრებათ, თვითმპყრობელობაკი ეზიზღებათ. ეს ვაჟბატონები იდუმალად და აშკარადაც თანაუგრძნობენ იაპონიას, სიხარულით ეგებებიან იაპონელთა ვითომდა გამარჯვებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პარტიას სტოკჰოლმში თავისი გაზეთები აქვს, რომელნიც ამტკიცებენ: რუსეთის იმპერიის დამხობის დღე მოახლოვდა; თვითმპყრობელობის მოსპობისა და კონსტიტუციის მომხრეთა გამარჯვების დღე დადგაო; ყველა განაპირა ქვეყნების გან თავისუფლების ჟამმა დაჰკრაო და სხვა. ყველაფერი ეს, ხსენებულ გაზეთების სიტყვით, იაპონიასთან ომს მოჰყვება, რადგან რუსეთის გამარჯვება შეუძლებელიაო.

ასე სწერენ და ლაღადებენ რევოლიუციონერები, ხოლო შეგნებული ფინლიანდიელები თავის სენატის პირით ჩვენ ერთობასა და თანაგრძნობას გვიცხადებენ...

მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა
იმპერატორი ნიკოლოზ მეორე



იაპონიის იმპერატორი მუცუჰიტო.

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზე, თავად-აზნაურთა კრებამ კანდიდატებად ამოარჩია თავად სიმონ დავითის ძე წერეთელი და თავადი ნიჟარაძე. როგორც ეხლა შევიტყვეთ, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. სიმონ დავ. წერეთელი. („ცნ. ფ.")

*** ტფილისის გუბერნატორს შინაგან საქმეთა მინისტრის მოწერილობა მოუვიდა. მინისტრი სწერს გუბერნატორს, იხმაროს ყოველი ღონისძიება იმ ხარჯების შესამცირებლად, რომელიც უნდება სამინისტროს მოხელეთა სამსახურის გამო მგზავრობას (კამანდიროვკებს) და საზოგადოდ, ძლიერ იყაიროთოს სამგზავრო თანხის დახარჯვის დროს, რადგან დამატებითი კრედიტი ამ წელს აღარ მიეცემათ. მოწერილობაში აღნიშნულია მაგალითი 1902 წ., როდესაც მოხელეთა სამგზავროდ გადადებულ თანხის ზევით სამინისტროს სპეციალურ წყაროდან ამ საქმისათვის უსესხნია 311,000 მანეთი, ხოლო 1903 წელს უფრო მეტი. დასასრულ მინისტრი შემდეგ ზომების მიღებას ურჩევს გუბერნატორს: 1. შეამციროს სასამართლოებში სხვა-და-სხვა საქმის გამო პოლიციის მოხელეთა მოწმეებად გაწვევა; 2. სამგზავროდ ისეთი მოხელენი გაიგზავნონ, რომელთაც ჯამაგირთან ერთად სამგზავრო ფულიც ეძლევათ; ამასთან მოხელე რამდენსამე საქმეზე ერთად უნდა გაიგზავნონ; 3. შეზღუდულ იქნეს აგრეთვე სამსახურის გამო ექიმების გზავნა სხვა-და-სხვა ადგილებში. 4. ამგვარად შენახული ფული შესაძლებელი იქნება მოხმარდეს მოხელეთა საგანგებო მოგზაურობას.

*** ტფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს სია და თხოვნები იმ თავად-აზნაურთა, რომელნიც შვილების მიღებას სთხოვენ გუბერნატორს კავკასიისა და სხვა საკადეტო კორპუსებში. გუბერნატორმა წინადადება მისცა წინამძღოლს, თავად-აზნაურთა თხოვნები ერთად განვიხილოთ, რადგან მე მათი ქონებრივი მდგომარეობა არ ვიცი.

*** აგრონომი ტიმოფეევი გაიგზავნა ქუთაისის გუბერნიასა და სოხუმის ოლქში სიმინდის პეპელასთან ბრძოლის საქმის მოსაწყობად.

*** ქუთაისის გუბერნიაში ბოქაულად ნამყოფი ივლიანე ქავთარაძე პასუხის გებაში იყო მიცემული საზოგადო ფულის გაფანტვისათვის. ტფილისის სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო ქავთარაძე და გადაუწყვიტა ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 1 წლით გაგზავნა. ქავთარაძემ პალატის გადაწყვეტილება გაასაჩივრა სენატში. პალატას ამ დღეებში ცნობა, მოუვიდა სენატისაგან, რომ ქავთარაძეს საჩივარი უყურადღებოდ იქმნა დატოვებულიო.

*** სასულიერო უწყებას გადაუწყვეტია, შეიმუშაოს ახალი წესი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ედევნოს თვალყური ყველა უწყების დაბალ და პირველ დაწყებით სკოლებში სამღვთო სჯულისა, საეკლესიო სლავიანურ ენისა და სლავიანურ საეკლესიო გალობის სწავლებას. საქართველოს ექსარხოსის განკარგულებით, სამრევლო-საეკლესიო ოლქის ზედამხედველმა 11 მარტს ტფილისის ქალაქის გამგეობას სთხოვა, გაუგზავნოს შემდეგი ცნობები: 1. რამდენი სასწავლებელია ტფილისში, რომელთაც ქალაქი თავის ხარჯით ინახავს, რამდენი მასწავლებელია ამ სკოლებში სამღვთო სჯულისა და გალობისა, რომელი მათგანი რომელ სკოლაში ასწავლის და რამდენს იღებს თითოეული გასამრჯელოს; 2. ვინ და როგორის წესით ირჩევს ქალაქის სკოლებისათვის სამღვთო სჯულისა, სლავიანურ საეკლესიო ენისა და გალობის მასწავლებლებს და ვინ ამტკიცებს იმათ ამ თანამდებობაზედ და რა საფუძველია ამის შესახებ ნაჩვენები კანონში; 3. არის თუ არა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიაში სახალხო განათლების სამინისტროს წარმომადგენელი; 4. რომელ კანონის ძალით არ არის მიწვეული ამავე კომისიაში წარმომადგენელი სასულიერო უწყებისა და თუ ოდესმე ამ უწყებას აღუძრავს საკითხი იმის შესახებ, რომ იმისი წარმომადგენელი მიეწვიათ კომისიაში, რითი გათავდა ეს საქმეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

საუბარი დაბადებიდამ.

VII.

ოჯახის დაარსება.

წიგნი „შექმნითა“, თავი ბ.

(შემდეგი*)

ადამიანი მარტოხელ ცხოვრებისთვის არაა გაჩენილი; მისი ბუნების მიხედვით ის საზოგადოებრივი არსებაა. თვით მის არსებაში ჩანერგულია თავის მზგავსისადმი ლტოლვილებათა დასაწყისი,—იმ ლტოლვილებათა, რომელნიც, წესიერათ განვითარებულნი და დიკმაყოფილებულნი, ადამიანის საქაო არსებობის უუწმინდეს და უუსრულეს მხიარულებათა წყაროს უნდა წარმოადგენდენ. ამას გარდა, მისი სულის ძალთა და ნიჭთათვის დადებულია ის გარდუვალი და სამუდამოთ უცვლელი კანონი, რომ იგინი მუდამ ჟამ უნდა ვითარდებოდენ და უმჯობესდებოდენ, თუ არ სურსთ საბოლოვოთ გაველურდენ, დასუსტდენ და სრულიად დაეცნენ; მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობს. მარტოხელად გაზრდილს და მარტოდ მცხოვრებს კაცს შეხედულებანი ძლიერ უვიწროვდებიან, ისე რომ მას თითქმის სრულიად ეკარგვის შეძლება თანდაყოლილი ნიჭნი და ძალები საქმეში გამოიყენოს. ოჯახის დაარსებით ღმერთმა საფუძველი დაუდვა ადამიანთა საზოგადოებას.

ოჯახში,—ამ სასიხარულო და საკეთილო წრეში, იფურჩქნება, მაგრდება და ვითარდება ჩჩვილი და ღვთისაგან მოცემულ ძალებს პირველად უწყებს ვარჯიშობას. მას მუდამ თავს დასტრიალებს დედის მზრუნველი თვალი და აბრთხილებს ყოველ გვარ საშიშ მოძრაობისა და მავნე ნაბიჯისაგან; სიყვარული, რომელიც მას გარს არტყია, მის გულს ათბობს და აფართოვებს და მასში მტკიცე ერთგულების, შემსჭვალულობის და თავდადებულობის გრძნობას ჰბადებს და ამაგრებს,—იმ ერთგულობის, შემსჭვალულობის და თავდადებულობისას, რომელნიც თანდაყოლ თავმოყვარების გრძნობას ალბობენ და აქარწყლებენ. ამ მხრით, ბავში თანდათან ემზადება თვის ამ ქვეყნიურ დანიშნულების აღსასრულებლათ. რასაკვირველია, ცხოვრებაში რომ შევა, აქ იგი ბევრს, ძალიან ბევრს დაბრკოლებას შეხვდება, არა ერთჯერ შედგამს ფეხს შეცდომათა გზაზე; მაგრამ თუ მისი პირვანდელი აღზრდა კეთილი და საიმედო იყო, უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ საფათერაკო გზაზე დამდგარი, ის საბოლოვოთ მაინც არ დაიღუპება; მხოლოდ რამოდენიმე ხანს იტრიალებს შეცდომის გზაზე და ბოლო დროს ისევ იმავე ალაგს დაუბრუნდება, რომელსაც დაშორდა,—იმავე წმინდა და ნათელს მისწრაფებებს დაუბრუნდება, რომელნიც მის ბავშობას აცისკროვნებდენ. დიახ, უკეთუ უფალს ადამიანი იმ თავითვე არ დაეყენებია იმგვარ საკეთილო მფარველობის ქვეშ, როგორსაც ოჯახი წარმოადგენს, მაშინ იგი ღვთის საუკეთესო ქმნილებად კი არ აღიზრდებოდა ქვეყანაზე, არამედ ტყის მხეცისაგან მხოლოდ მცირეთ განსხვავებულ არსებად.

თვით ოჯახის დაარსება ასე მოხდა.

„თქვა უფალმან ღმერთმან: არა კეთილ არს ყოფა კაცისა მარტო; უქმნეთ მას შემწე მსგავსებისაებრი“; მიტომ რომ, როცა უფალმა ღმერთმა «შექმნა ქვეყანისაგან ყოველნი მხეცნი ველისანი და ყოველნი მფრინველნი ცისანი,—არა იპოვა ადამისათვის შემწე მსგავსი მისი“. იმდენათ სრული იყო სიცოცხლით ქვეყნიერობა, რომ, საფიქრებელია, პირველ კაცს მეტი რაღა უნდა დარჩენოდა, თუ არა თაყვანისცემა და მადლობა შემოქმედისადმი იმ შეგნებით, რომ მისით და მასში გვირგვინდება ღვთისაგან გაჩენილი მთელი მსოფლიო ცხოვრება. მაგრამ, არა, თვითონ ზეციერმა მამამ განსაჯა, რომ პირველი კაცის მარტოხელა ცხოვრება სრული არ იყო, რომ სისრულის თვით იმ სიმაღლეზე და შემოქმედისადმი იმ სამაგალითო სიახლოვესთანაც კი, რომლითაც პირველი კაცი სარგებლობდა, მისთვის

*) იხ. „მწყემსი“ № 3, 1904 წ.

საჭირო იყო „შემწე მსგავსი მისი“,—შემწე, რომელის მაგიერობასაც, როგორც სჩანს, მას ვერ გაუწევდა ვერც ყოველივე ის, რაც მის გარეშე იყო შექმნილი, და ვერც ის საუცხოო თვისებანი, რომელნიც თვით მასშივე იყვენ ჩანერგულნი. „და თქვა უფალმან ღმერთმან: არა კეთილ არს ყოფა კაცისა მარტო; უქმნეთ მას შემწე მსგავსებისაებრი“.

და აი, როგორ და საიდან გაუჩნდა კაცს ეს „შემწე მსგავსი მისი“: „და დასდვა ღმერთმან განკვირვება ადამს ზედა, და დააძინა; და მოიღო ერთი გვერდთა მისთაგანი, და აღუვსო ხორცითა მისწილ. და აღუშენა უფალმან ღმერთმან გვერდი, რომელი მოიღო ადამისაგან, ცოლად; და მოიყვანა იგი ადამისსა. და თქვა ადამ: აწ ესე ძვალი ძვალთა ჩემთაგანი, და ხორცი ხორცთა ჩემთაგანი, ამას ეწოდოს ცოლ, რამეთუ ქმრისა თვისისაგან გამოიყვანა ესე“. ამ რიგათ ის შემწე, ურომლობაც კაცს არ შეუძლია, არის ცოდა,—ე. ი. ისეთი არსება, რომელიც არამც თუ მარტო ისეთისავე ბუნების პატრონია, როგორისაც მამაკაცი, არამედ იმავე დროს ნაწილია მისი და მერე იმდენათ საჭირო ნაწილია მისი რომ უმისოთ მამაკაცის არსეობა ცალმხრივია და უსრულია, ანუ როგორც თვით უფალი ბრძანებს, „არა კეთილ არს“.

აი რისთვის უნდა „დაუტეოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი და შეუერთდეს ცოლსა თვისსა, და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც“. ოჯახი ადამიანს ნამდვილი ცხოვრებისათვის ამზადებს; მაგრამ, შემდეგ, როცა დამოუკიდებელი არსებობის დრო მოუვა, მაშინ მისი აღმზრდელი ოჯახის გავლენა და მფარველობა, მისი მშობლების სიყვარული და მზრუნველობა საკმაო აღარ არის; საჭიროა მის არსებას სხვა, დედმამაზე უფრო მახლობელი და უძვირფასესი არსება შეავსებდეს; ისეთი არსება, რომელიც მზათ იყოს მას მტკიცეთ და სამუდამოთ შეუერთდეს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდის განუყრელად შეუკავშირდეს და მთელი სიცოცხლის განმავლობაში მისი ნამდვილი შემწე და ამხანაგი იყოს, —ერთი სიტყვით საჭიროა ცოლი: „შეეყოს (შეუერთდეს) ცოლსა თვისსა და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც“.

ასეთია ოჯახის დაარსების კანონი. მას საფუძვლად უძევს—ცოლისა და ქმრის განუყრელი ერთობა,—ერთობა განუყრელი რაიმე გარეშე ძალდატანებისა და აუცილებლობის გამო კი არა, არამედ იმ შინაგან, მტკიცე და ურყეველი კავშირის წყალობით, რომელსაც სიყვარული ჰქვია. სიწმინდით დაცული, ეს კანონი იმდენ სიკეთესა და იმდენ სიხარულს ანიჭებს ადამიანს, რამდენიც-კი შესაძლოა ამ ქვეყნად,—სიხარულს და სიკეთეს, რომელსაც ვერავითარი სულის მუსვრა, სინიდისის ქენჯნა ვერ მიეკარება და რომელიც სულს ამშვიდებენ და ასპეტაკებენ. ამასთანავე ეს კანონი თვით ოჯახსაც ანიჭებს იმ მნიშვნელობას და ძალას, რომლებზედაც მტკიცეთ დამყარებულია მთელი საზოგადოების კეთილდღეობა. პირიქით, ამ კანონის დარღვევა და მისი გვერდის აქცევა იმდენს დამღუპველ შედეგებს იწვევს, რომ სამუდამოთ ამახინჯებს და სწამლავს ადამიანის სიცოცხლეს და თვით მას, ხატსა ღვთისას, პირუტყვის მდგომარეობაში აგდებს. ხოლო საოჯახო დასაბამის დაცემას უცილებლათ თან მოსდევს—დაცემა და თითქმის სრული დარღვევა საზოგადოებისა,—იმ უბრალო მიზეზის წყალობით, რომ უკეთუ საფუძველი გაიხრწნა, შენობაც აუცილებლათ დაიქცევა, თუნდაც რომ სხვა კავშირები საიმედოთ იყოს ნაკეთები. და ადამიანთა რამდენი საზოგადოება დაიქცა უკვე და დაიღუპა ამნაირათ!..

შეგვიძლია, ძმანო, თავი ვიქოთ საოჯახო კანონის მტკიცე დაცვით?.. თავს ვერაფრით ვიქებთ, უკეთუ ჩვენს ნამდვილს ცხოვრებას ჩავაკვირდებით. განა ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას არ შეეხება პირდაპირ მოციქულის სიტყვები: „მისცნა იგინი ღმერთმან გულის-თქმასა გულთა მათთასა, არა წმიდებად და გინებად ხორცთა მათთა მათთანა,—მისცნა იგინი ღმერთმან გამოუცდელსა მას გონებასა, საქმედ უჯეროჲსა“ (რომ., I, 24, 28). ნურაფერს ვიტყვით იმ პირების შესახებ, რომელნიც სხვა-დასხვა მომიზეზებით ოჯახურ ცხოვრებას გაურბიან და მთლათ ერთიანათ ათასგვარ უჯერობის და გარყვნილობის წუმპეში ეფლობიან,—ამგვართა რიცხვი ხომ ყოველდღე მატულობს! ოჯახი განა ყველა ჩვენგანისათვის წარმოადგენს მხსნელ და მფარველ დაწესებულებას ყველა ამ უჯერობათაგან? საჭირო არაა ამ კითხვებზე პასუხი,—საქმე ისედაც ცხადია. და ანკი სხვარიგათ როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო, როცა უმეტეს ნაწილათ ცოლსა და ქმარს შეგნებული სიყვარული კი არ აერთებსთ, არამედ

საანგარო მოსაზრება და ვაკრული მორიგება—უბრალო გარეშე მოვლენანი?.. შინაგანი კავშირი ოჯახის უმთავრეს წევრთა შორის აღარ არსებობს, —და რაღა გასაკვირალია, თუ ვნებათა პირველ აშლისათანავე იქითკენ გარბიან, საცა ვის მოეფიქრება. აგერ გახედავ,—და მათ კვალს მისდევენ შვილებიც,—რადგან მართლაც რას უნდა მიბაძოს შვილმა, თუ არ მშობელთა მაგალითს?.. და, მერე, სადამდის შეუძლია მიგვიყვანოს ამ მდგომარეობამ?.. შესაძლებელია იგივე განმეორდეს, რაც ერთ დროს უკვე იყო სახელდობრ: „იხილა რა უფალმან ღმერთმან, ვითარმედ განმრავლდეს უსჯულოებანი კაცთანი ქვეყანასა ზედა,—თქვა: „აღვხოცო კაცი, რომელი შევქმენ, პირისაგან ქვეყანისა“ (შექმნათა, VI, 5, 7).

„აღვხოცო“?!. და განა არ იმუსრება კაცობრიობა თუ სულ არა, შემაძრწუნებელი უმრავლესობა ხომ მაინც, ათასგვარ სნეულებით, ომიანობით და ათიათასგვარ უბედურობით?.. მაგრამ მაინც არ სწორდება და გონზე არ მოდის კაცობრიობა ყველა ამ სასჯელით. მას დავიწყებული აქვს მაცხოვრის სიტყვები: „უკეთუ არ შეინანოთ, ეგრევე სახედ ყოველნი წარჰსწყმდეთ“ (ლუკ., XIII, 3).

ს. გორგაძე.

(გაგრძელება იქნება)

რედაქციის პასუხი.

ბდ. მდ. დ. ჩ—ძეს. სანამ ხელნაწერი არ ინახება მანობამდისინ ვერ გეტყვით დავბეჭდავთ „მწყემსში“ თუ არა, ალექსანდრე ნეველის ლავრის წინამძღვრად ითვლება თვით მიტრაპოლიტი ანტონი. ქველმოქმედთა პირები გაზეთებიდან შეგიძლიათ შეიტყოთ როცა მათ შეწირულებას აცხადებენ.

ეპპ. მოსამსახურეს. მესამეჯერ დაქორწინებული მედავითნე უნდა დათხოვნილ იქმნეს თავის თანამდებობიდან.

მდგ. კახიას. ჟურნალ-გაზეთის დასაკვეთი ფულები უნდა რედაქციაში გამოგზავნოთ. გაზეთები შეგიძლიათ მიიღოთ წიგნების მკაზმელ მეიერ მინოვიჩის სახელოსნოდან.

მდგ. ნ. მაისურაძეს. ტიბიკონის წიგნი იყიდება მანეთად და გამოგზავნის ხარჯი რედაქციამ რატომ უნდა იკისროს? გამოგიგზავნით ეხლა ამ წიგნს, მაგრამ ყველამ იცოდეს მაინც ამას შემდეგ, რომ სრულებით ჩვენ არ ვკისრულობთ ამ წიგნის მოპოებას და გაგზავნას. გამომცემი ამ წიგნისა არის მღვ. რაჟდენ ხუნდაძე. მას უნდა მიმართოთ წერილით ქუთაისში.

რედაქციისაგან.

ზოგიერთი ჩვენ ჟურნალზე ხელის მომწერნი, კიდევ იწერებიან: „ვგზავნი რა სამს ან ხუთ მანეთს ვსთხოვთ რედაქციას გვიგზავნოს „მწყემსი“ ამ 1904 წელში“. სრულებით არას იწერებიან იმაზე, რომ გამოგზავნილი ფულები არის წარსულ წელში მიღებული ჟურნალისა და არა ამა 1904 წლისა. რომელიც ასე ბუნდეთ მოიწერება მათ ჟურნალი არ მიუა.

ზოგიერთებიც კიდევ იწერებიან: „გთხოვთ ჟურნალი გვიგზავნოთ და ფულს თავის დროზე გამოგიგზავნით“. ნეტავი როდის არის ეს „თავისი დრო“? ზოგს გაზეთის ხელ-მოსაწერი ფულის გაგზავნის დროდ მიაჩნია მეორე წლის იანვრის თვის ბოლო. სწორეთ კარგი დროა!.. ამისთანა წერილების ავტორები და გაზეთის მიღების მსურველნი ჩვენ მოგვაგონებენ ზოგიერთ ჩვენ „ინტელიგენტებს“ რომელნიც დაბრძანდებიან ხოლმე სასტუმროში ან რესტორანში, კარგათ მიირთმევენ და სასტუმროს პატრონს ეტყვიან: „ჩასწერეთ დავთარში და თავის დროზე მიიღებთ“! სწორეთ ახირებული ჩვეულებაა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება.

მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის ოთ- კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს"-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» სამკურნალო ფურცლის დამატებით — 4 მ.	6 თვით «მწყემსი» 2»
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2»
— „ ორივე გამოცემა 5»	— „ ორივე გამოცემა 3»

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა **ყვირილაში** რედაქციაში, **ქუთაისში** ბ-ნ ესტატე ღამბაშიძესთან, **თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შოთ ქუჩუკაშვილთან, **ახალციხეში** — ბლალოჩინ ბ. ამაარ. კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად**.

რედაქცია იმყოფება დ. **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ" и «ПАСТЫРЬ».**

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი"-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

ᲣᲥᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ გალობის მასწავლებელი სერგეი ჯინჯველაშვილი ასწავლის ქართულს საეკლესიო და საერო გალობას ნოტების საშუალებით. თანაც ამზადებს მოსწავლეებს საქალაქო სასწავლებლისათვის.

ბინა: ვასილ მაჭავარიანის სახლი— ზედა ხიდის პირდაპირ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ს. მ. ბ. თოთეფურიას

ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲕᲘ,

რომელიც იმყოფება მცირე უმაღლესობის პრინცალექსანდრე ოლდენბურგელის მეარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაკან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით, გადაძღების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე. (წ)

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ: მწარე ფიქრები, სოფლის ხუცესა.—მიზეზები კაცის მრავალ უბედურებათა, ნ. ხ.—კ.—იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება ქ. ქუთ. 15—22 დეკემბერს, დამსწრესი.—წერილი რედაქციის მიმართ, ს. გორგაძის.—ვიცე ადმირალი პავლე სტეფანეს ძე ნახიმოვი, დეკ. დ. ღამ—ძისა.—არიან თუ არა ქრისტიანები იაპონიაში?, მისივე. —ჟურნალ-გაზეთებიდან.—რუსეთის პრესსა რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ.—იმპერატორი ნიკოლოზ II მეორე. (სურათი)--იაპონიის იმპერატორი. (სურათი) —ახალი ამბები და შენიშნა.

ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲐᲡᲐ და **ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲬᲜᲝᲑᲐᲖᲔ:** საუბარი დაბადებიდამ. ს. გორგაძის. —რედაქციის პასუხი. —რედაქციისაგან.—განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою Архимандритъ Георгій Марта 16 *1904 г.*

Типог. редакціи журн. „**Пастырь**" (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.